ISSN 1512-1801

The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

მხატვრული ნაწარმოების კითხვის სირთულე სკოლაში

ნატო ნოზაძე
სოფ. გიორგეთის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ანოტაცია
წინამდებარე ტექსტში გადმოცემულია ტექნოლოგიური წინსვლის ფონზე როგორ შეიცვალა მოსწავლეთა დამოკიდებულება წიგნის მიმართ. სხვადასხვა საფეხურზე კითხვისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია, მნიშვნელობა ენიჭება მცირე ზომის პროზაულ ნაწარმოებებს,საბაზო საფეხურზე განსაკუთრებით აქტუალურია რევაზ ინანიშვილის ტექსტები, მოსწავლეები საინტერესოდ მიიჩნევენ მწერლის ნოველებს. შედარებით რთული წასაკითხია ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები, რადგან ქრისტიანი და მუსლიმი მოსწავლეები ერთობლივად სწავლობენ აღნიშნულ ტექსტებს. ქართველი ერისთვის სარწმუნოების სხვადასხვაობს ხელი არ შეუშლია აღმოსავლეთთან კულტურული ურთიერთობებისთვის. დღესდღეობით სხვა აღმსარებლობის მოსწავლეები ინტერესით კითხულობენ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს, რომელზეც თავიანთ აზრს გამოთქვამენ და საქართველოს ერთადერთ სამშობლოდ მიიჩნევენ. ტექსტში ნუგზარ შატაიძის მოთხრობის ფრაგმენტია მოხმობილი, რათა თვალნათელი გახდეს ტოლერანტობა.
კითხვა რთული პროცესია, ნაწარმოების გააზრებას შესაბამისი ლიტერატურული თეორიის ცოდნა სჭირდება. ტექსტის აღქმის უნარის გამომუშავება ძალზე მნიშვნელოვანია, რათა მოსწავლემ რეაგირება მოახდინოს ტექსტუალურ სიგნალებზე და გარკვეულწილად სინამდვილესთან დააკავშიროს ტექსტი. მხატვრული ნაწარმოების სწორად წაკითხვას სჭირდება ისტორიული და ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინება. კლასიკური ნაწარმოებებით უნდა შევძლოთ მოსწავლეთა დაინტერესება, კითხვის პროცესი უნდა გავხადოთ მიმზიდველი, რათა ტექნოლოგიურმა პროგრესმა არ განდევნოს ის სულიერი სამყარო, რაც მხატვრულ ნაწარმოებებში იმალება.

საკვანძო სიტყვები : *კითხვა, მხატვრული ტექსტი*

„კითხვაც უნარია, ნიჭია კითხვაცა"
ო. ჩხეიძე

თანამედროვე კაცობრიობა გამორჩეულია თავისთავადობითა და იმ მთელი რიგით, რომელმაც ესოდენი გამოვლინება ჰპოვა ჩვენს დროში. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, სადაც ყალიბდება ახლებური ურთიერთობები ცივილიზაციათა და რელიგიურ აღმსარებლობათა შორის. ტექნოლოგიურმა წინსვლამ ხელი შეუწყო, დროსა და სივრცეში, ადამიანთა შორის კიდევ უფრო მეტ დაახლოებას. ტექნიკურმა პროგრესმა, ერთი შეხედვით, დააჩქარა საზოგადოებაში პრობლემების მოგვარება, აღმსარებლობითი თვალსაზრისითაც. თანამედროვე ადამიანებს აღარ უხდებათ წლებისა და თვეების განმავლობაში მოგზაურობა, რათა ერთმანეთს ხმა მიაწვდინონ.

ISSN 1512-1801

კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა მთელ პლანეტაზე მოშალა საზღვრები. ადამიანისათვის მიუღწეველი აღარაფერია, დღევანდელი ადამიანი ცხოვრობს ტექნოლოგიურ ეპოქაში.

ამგვარ მიღწევებთან ერთად თავი იჩინა სულიერმა პრობლემებმა, სულიერება, რომელიც მხატვრულ ტექსტებშია, თითქოსდა საძებნელი გაგვიხდა, ესოდენ წიგნიერ ერში მოსწავლეებს კითხვა უძნელდებათ, დიდტანიან ნაწარმოებებს ვეღარ კითხულობენ, კითხვაც არს და კითხვაც. . .

მხატვრული ტექსტის კითხვა რთული პროცესია, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ მხატვრულ ტექსტზე მარტივი წასაკითხი არაფერია. ცნობილი გერმანელი მწერალი ჰერმან ჰესე წერდა: „სიცოცხლე ძალზე ხანმოკლეა. იმ ქვეყნად არავინ დაინტერესდება ჩვენ მიერ წაკითული წიგნების რაოდენობით. ამიტომ წინდაუხედავი და უგუნური საქციელია დროის ფლანგვა ისეთი კითხვისთვის, რომელსაც ფასეულობა არ გააჩია. ვგულისხმობ არა მარტო ცუდ წიგნებს, არამედ, პირველ რიგში, თავად კითხვის ხარისხს. კითხვისაგან, ისევე როგორც ცხოვრებაში გადადგმული ყოველი ნაბიჯისაგან, რაღაცას უნდა ვიღებდეთ. ენერგია არ უნდა დავზოგოთ, რომ უფრო მეტი ძალა შევიძინოთ, რომ უფრო შეგნებულები გავხდეთ. რა აზრი აქვს ლიტერატურის ისტორიის ცოდნას, თუკი ჩვენ მიერ წაკითხულმა ყოველმა წიგნმა სიხარული და ნუგეში, ძალა და სულიერი სიმშვიდე არ გვაგრძნობინა? კითხვა იმისთვისაა საჭირო, რომ უფრო მტკიცედ ჩავჭიდოთ ხელი ჩვენი ცხოვრების საჭეს და უფრო გავიფართოოთ ცნობიერება". სკოლის მოსწავლეები თავიანთ ესეებში მუდმივად ამტკიცებენ, რომ წიგნი კომპიუტერმა ჩაანაცვლა, მასწავლებელთა ძალისხმევა ხშირად უშედეგოა, რადგან ვერანაირად ინტერესდებიან იმით რასაც ვურჩევთ, აქედან იწყება დაპირისპირება, თითქოს სხვადასხვა მხარეს ვიყოთ, ერთმანეთს ხმას ვეღარ ვაწვდენთ და გამოსავალს ვეძებთ, სხვადასხვა მეთოდებით გვინდა მათი წიგნისკენ მიბრუნება. როგორ გადავჭრათ ეს ურთულესი პრობლემა? როგორ შევაყვაროთ მოსწავლეებს კითხვა? ვფიქრობ, მცირე ზომის ნაწარმოებები დაგვეხმარება არსებული პრობლემის მოგვარებაში.

ქართული პროზის დიდოსტატის, რევაზ ინანიშვილის, მცირე პროზის ნიმუშები შედარებით საინტერესო და სახალისოა მათთვის, რადგან კითხვას ნაკლები დრო სჭირდება, მნიშვნელოვან დეტალებზე მსჯელობა კი ზოგჯერ ისეთი ინოვაციაა, რომ შესაძლოა ლიტერატორიც არ იყოს დაფიქრებული მსგავს ნიუანსზე. მის მიერ შექმნილი მხატვრული სამყარო ძლიერ ზემოქმედებს ბავშვებზე, იმდენად ცოცხალი, ფერადი, სხარტი და დამაფიქრებელია მწერლის მიერ შექმნილი სიტუაციები, რომ სხვადასხვაგვარი განხილვა მოჰყვა მოთხრობა „ჩიტების გამომზამთრებელს". დედაჩემიც ასე იქცევა ზოგჯერ,- ამბობენ, თან საუბრობენ აგრესიაზე, რომელსაც დედა ავლენს შვილის მიმართ, თითქოს არ იცნობს საკუთარ შვილს, სიყვარულის ნაცვლად სიძულვილს უნერგავს, როგორ შეიძლება დედა ასე იქცეოდეს? რატომ დაწერა ნეტავ მწერალმა? ანუ მთავარ აზრს ეძებენ, აღზრდის პრინციპებზე საუბრობენ, ბავშვთა უფლებებს განიხილავენ და თვლიან, რომ ბავშვის ინტერესებს პატივი უნდა სცეს მშობელმა, თან თითქოს პატიობენ დედას, რომელიც „სამზარეულოდან გამოდის. . . გზა-გზა იხსნის წითელ, გამჭვირვალე წინსაფარს, თეძოებთან ისწორებს კაბას, მერე-კეფაზე ფომფლო გორგლად დახვეულ თმას", სულ ფუსფუსებს დედა, სულ საქმე აქვს,

ISSN 1512-1801

სულ ჩვენზე ფიქრობს, სულ უნდა, რომ ვკითხულობდეთ, მაგრამ ჩვენ რაც გვინდა, მას არ მოსწონს, რატომ? -თითქოს ამოუცნობია მათთვის ამგვარი დამოკიდებულება, ყველას სურვილი აქვს საკუთარ ოჯახზე ისაუბროს. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ამგვარი მსჯელობა, რადგანაც გულრწფელობას, საკუთარი აზრის დაცვას სწავლობენ და , რაც მთავარია, მეკითხებიან:- კიდევ ვისწავლით რევაზ ინანიშვილის მოთხრობებს?

რევაზ ინანიშვილის მიერ შექმნილი სამყარო მიმზიდველია, უდიდესი თავისუფლების მომნიჭებელი და რეალობასთან დაახლოებული, მასწავლებელსაც აფიქრებს და მოსწავლესთან უფრო აახლოებს, მათ ხომ მუდმივად სურთ მასწავლებლები იყვნენ და ჩვენ კი მათი მოსწავლეები, ინტერესით კითხულობენ „დამრიგებელს", ამ ნოვალას შეუძლია იდუმალი კავშირი დაამყაროს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, მიუხედავად იმისა, რომ არც კი იცის მეშვიდეკლასელმა რას ნიშნავს წითელი ყელსახვევი, მწერალი საინტერესოდ ხატავს საბჭოთა მასწავლებელს, ქედს იხრის მის წინაშე. მასწავლებელი სიყვარულით სავსე გულით მოსწავლეებს გასაჭირს აძლევინებს, სწორი გზით სიარულს ასწავლის. მწერალს შეუძლია ერთი შეხედვით უმნიშვნელო ამბავი მნიშვნელოვნად აქციოს, სადად მოგვითხროს და უამრავი საფიქრალი გაგვიჩინოს, ამას ადასტურებს მოსწავლეთა რეაქცია. მოკლედ, სხარტად, ექსპრესიულად და საოცარი დინამიზმით გადმოცემული დეტალები იპყრობს მოსწავლეთა ყურადღებას. ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ ყველა მწერალს რომ ასე ეწერა, კითხვა შემიყვარდებოდაო. ეს კი, ვფიქრობ, თავისმართლებაა.

მოსწავლეებს უნდა გამოვუმუშაოთ სწორედ ამგვარი დეტალების აღქმის უნარი, თუ ერთხელ დაინტერესდა, შეიგრძნო, აუცილებლად გამოუმუშავდება ნაწარმოების დინამიკის აღქმის უნარი, ლიტერატურული სმენა და გარკვეული ჩვევები, რათა რეაგირება მოახდინოს ტექსტუალურ სიგნალებზე. ვინაიდან დინამიკა მხოლოდ დაძაბულ სიუჟეტში კი არ ვლინდება, არამედ ნაწარმოების სტილშიც, მის არქიტექტონიკასა და, საერთოდ, სამყაროს მოდელირების ხასიათშიც. მკითხველს უნდა შეეძლოს მხატვრული სინამდვილე ერთადერთ რეალობად მიიჩნიოს. ამ თვალსაზრისით მკითხველი იმ ჩინელ მხატვარს ჰგავს, საკუთარი მხატვრობით მონუსხული, მისივე სურათზე გამოსახულ მთებში რომ გაუჩინარდა. თუმცა, მკითხველის ცნობიერება ორმაგ შრომას ეწევა: იგი, ერთი მხრივ, მხატვრულ სინამდვილეს აღიქვამს როგორც გარკვეულ რეალობას, მეორე მხრივ, კი ეჭვქვეშ აყენებს მხატვრული რეალობის ნამდვილობას, ვინაიდან იცის, რომ მისი წყარო ემპირიული სინამდვილე კი არ არის, არამედ ავტორის წარმოსახვა.

მოსწავლის მკითხველად ჩამოყალიბება სკოლიდან იწყება, თუკი მიზანს მივაღწიეთ და კითხვის პროცესში ჩავრთეთ, მაშინ ნამდვილ მკითხველადაც უნდა ვაქციოთ, ეს უკანასკნელი კი წარმოუდგენელია ჰაგიოგრაფიული ტექსტების გარეშე.

განსაკუთრებით რთული წასაკითხია ჰაგიოგრაფიული ტექსტები. აქ დიდი ოსტატობა უნდა გამოიჩინოს მასწავლებელმა, რათა ძველი ქართული ენის ხიბლი და სურნელი შეაგრძნობინოს მოსწავლეს. ჰაგიოგრაფიული ტექსტების მხატვრული ბუნება მეტად თავისებურია. სწორად წაკითხვა აუცილებლად აღმოაჩენინებს მოსწავლეს ჭეშმარიტებას, თანაც ამ ეტაპზე უკვე კითხვაში გაწაფულია და მზადაა გაიაზროს

ISSN 1512-1801

დავით აღმაშენებლის მრწამსი: ,,ხატსა თვისსა მამსგავსე და საკრველად გრძნობადისა და გონიერისა მყოფობისად დამაწესე".

ყოველივე ამის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ქრისტიანული მწერლობის გაგება და თვით მოწამის სახის წვდომა. წმინდანი ხიდის გამდებია წუთისოფელსა და ზენა სოფელს შორის. მწერლის მიზანია სულიერი სამყაროსაკენ წმინდანის სვლის ჩვენება. ხშირად ამ ყველაფერს ვერ იტევს სიტყვა, ამიტომაც იშველიებენ ბიბლიის სახე-სიმბოლოებს. ეს სიმბოლოები კონკრეტულ მნიშვნელობასთან ერთად სულიერ შინაარსს მოიცავენ. ყოველი მათგანის უკან სახარების იგავით ნასაზრდოები სულიერი ფასეულობა იგულისხმება.

განსაკუთრებული სიფრთხილით მიწევს ამ რთულ საკითხებზე საუბარი, თითქმის ბეწვის ხიდზე გავდივარ, რადგანაც მუსლიმები და ქრისტიანები გვარდიგვერდ სხედან, ანთებული თვალებით შემომცქერიან, თუმცა წმინდა აბოს, ქრისტიანები ერის გადამრჩენელს უწოდებენ, მუსლიმები კი გულწრფელად აღიარებენ, რომ ასე არასოდეს მოიქცევიან. მე კი დღეს, 21-ე საუკუნეში, კვლავ ვუკითხავ თანამედროვე მწერლის სიტვებს: „მეჩეთის ერთ კუთხეში მოვირთხით ფეხი და მოზაიკით მოხატული კედლებისა და ჭერის თვალიერებას შევუდექით.

მოშორებით მამა-შვილი ნამაზს ასრულებდა. კაცი ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა, ბიჭი-ათისა. მამა რომ იატაკზე დაემხობოდა და ხალიჩას შუბლს შეახებდა, შვილიც იჩოქებოდა, ხოლო როცა კაცი ადგებოდა და სახეზე ხელიგულებს ჩამოისვამდა, პატარა ხელებს ისიც ლოყაზე ითათუნებდა. მეჩეთის ღია კარიდან წამდაუწუმ იჭყიტებოდა ბიჭზე ორი-სამი წლითუმცროსი გოგო, ძმას ემანჭებოდა და აცინებდა. ის ცდილობდა, დისთვის ყურადღება არ მიექცია, მაგრამ თვალები მაინც იქით გაურბოდა, გოგოს დანახვაზე ეღიმებოდა და ამის გამო საკუთარ თავზე ბრაზდებოდა.

მამა, რა თქმა უნდა, ყველაფერს ხედავდა, მაგრამ არ იმჩნევდა. ლოცვა რომ დაასრულეს, დაიხარა და, შვილს თავზე აკოცა. ამით გათმამებულმა ბიჭმა მამას რაღაც უთხრა, მან თავი დაუქნია და ბიჭი წავიდა, ხალიჩაზე წამოწოლილ ტურისტებს შორის გაიარა, გარეთ გავარდა და აკისკისებულ გოგოს გამოენთო.

ამ სურათმა გული ამიჩუყა,თვალზე ცრემლი მომგვარა და მამა-შვილის მიმართ უცნაური ნათესაობისა და ახლობლობის გრძნობა გამიჩინა.

ბიჭის წასვლის შემდეგ კაცი ადგილიდან არ დაძრულა, მეჩეთის კედელთან თვალებმილულული იდგა და ეტყობოდა, ისევ ლოცულობდა. ვუყურებდი და მის მიმართ გულწრფელი პატივისცემისა და მოკრძალების გრძნობით ვიმსჭვალებოდი-ამ კაცს მხურვალედ სწამდა ღმერთი, უნდოდა, საკუთარი ვაჟიც პატიოსან, ღვთისმოშიშ ადამიანად გაეზარდა და რა ჩემი საქმე იყო, რომელ აღმსარებლობას ეკუთვნოდა, რელიგიის რომელ მიმდინარეობას აღიარება".

ამ ტექსტს არ სჭირდება ღრმა შრეებით გააზრება, ადვილი მისახვედრია ავტორის სათქმელი, ჩვენ ხომ ესოდენ ჰუმანურები, ყველა სარწმუნოებას პატივს ვცემთ და მოსწავლეები ადვილად ითავისებენ ამ ეპოქის მოთხოვნებს, რომელიც მკვეთრად განსხვავდება იმ ეპოქისაგან, რომელშიც ჰაგიოგრაფიული მწერლობა შეიქმნა. რელიგიური სხვადასხვაობა, ამგვარი განმარტებების შემდეგ, ხელს არ უშლის მათ მეგობრულ ურთიერთობებს, კლასში ჯანსაღი ურთიერთობები ყალიბდება, როგორც ქრისტიანი , ისე მუსლიმი მოსწავლეები „აბო თბილელის" შესწავლის შემდეგ,

ISSN 1512-1801

მეუბნებიან:- მიყვარს ჩემი ღმერთი, მაგრამ არ ვიცი რატომ, აქ ისევ ის დიდი პრობლემა იჩენს თავს, რომელიც ტექნოლოგიურმა პროგრესმა იმსხვერპლა, კითხვა, ბიბლიური იგავების წაკითხვაც კი სირთულედ იქცა. არადა ჰაგიოგრაფიული ტექსტების სახე-სიმბოლოები ბიბლიური იგავებიდან საზრდოობს.

ტოლერანტობით განთქმული ქართული ერისათვის რელიგიურ სხვადასხვაობას არასოდეს შეუშლია ხელი ლიტერატურული ურთიერთობებისათვის.

დავით აღმაშენებელი ერთნაირად მიაგებდა პატივას დასავლურ- ქრისტიანულსა და აღმოსავლურ- მუსლიმურ ფასეულობებს, რომლის სინთეზმაც თავისი კეთილი გავლენა იქონია ქართული საერო მწერლობის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაზე.

საბაზო და საშუალო საფეხურზე სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებები აქვთ მოსწავლეებს კითხვის მიმართ. მაღალ საფეხურზე აცნობიერებენ, რომ მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ სიამოვნების მომნიჭებელი არ არი, მასში გასათვალისწინებელია როგორც ისტორიული, ისე ლიტერატურული კონტექსტი. ასეთ ტექსტებს სიღრმისეული გააზრება სჭირდება, ამიტომ მოსწავლეს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნის მარაგი, რომელიც დაეხმარება კითხვის პროცესში სწორად გააანალიზოს მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო დეტალები, რომელიც მთავარი აზრის ამოცნობაში დაეხმარება.

ასე რომ, ეპოქის ცვლასთან ერთად იცვლება მოთხოვნები, რთულდება სასკოლო პროგრამები, მასწავლებელი მუდმივად ცდილობს მოარგოს მოსწავლის შესაძლებლობებს კლასიკური ნაწარმოებები, დაახლოვოს მასთან მოსწავლე, საკუთარი აზრი გამოათქმევინოს, თითოეულ სიტყვაზე წაახალისოს, ეს კი მთლიანად მის ძალებს აღემატება, მაგრამ ვალდებულია მყარად ჩაუყაროს საფუძველი, რადგან ამ ფესვებზე ისეთი ყლორტი უნდა ამოიზარდოს, რომელიც გაიზრდება, დაიტოტება და დროის გამოწვევებს ფეხს აუწყობს. ამით მასწავლებელი შემოქმედს ემსგავსება. მას დიდი სიფრთხილე მართებს, რადგან სწორად დაგეგმილი ღონისძიებებით, აუცილებლად შეძლებს მიზნის მიღწევას, ბავშვის ცნობიერებაში თუ ერთხელ გაღვივდა ინტერესი, ეს უკვე საკმარისია, წიგნი მათი ცხოვრების მეგზური გახდება.

<u>**გამოყენებული ლიტერატურა:**</u>

1. ჰერმან ჰესე - ესეები;
2. ოთარ ჩხეიძე - ,,მკითხველი";
3. რეზო ყარალაშვილი - „მხატვრული ნაწარმოების აღქმა";
4. საერთაშორისო ჟურნალი -„სამეცნიერო აზრი".